თუ ვინმემ შეჭამა ნიორი ან ხახვი, დაე, განერიდოს ჩვენ (ან ჩვენს მეჩეთებს) და დარჩეს თავის სახლში

გადმოცემულია ჯააბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუ ვინმემ შეჭამა ნიორი ან ხახვი, დაე, განერიდოს ჩვენ (ან ჩვენს მეჩეთებს) და დარჩეს თავის სახლში.» (ჯააბირმა აგრეთვე გადმოსცა), რომ ერთხელ ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიართვეს ბოსტნეულით სავსე კერძი (ქვაბი). როცა მან იგრძნო მათგან მომდინარე სუნი (ხახვი ან ნიორი), ჰკითხა, რა იყო მასში, და მას დაუსახელეს იქ არსებული ბოსტნეულის სახელები. შემდეგ მან ერთ-ერთ საჰაბას უთხრა: «მოიტანეთ (ეს ქვაბი)». როცა დაინახა, რა იყო მასში, მან უარი თქვა მის ჭამაზე და საჰაბას უთხრა: «შენ ჭამე, მე კი (არ ვჭამ ამას იმ მიზეზის გამო, რომ) ვაწარმოებ ფარულ საუბრებს მასთან, ვისთანაც შენ ვერ საუბრობ». ასევე გადმოცემულია მუსლიმის ჰადისში ჯააბირ იბნ აბდულლაჰისგან, რომ ალლაჰის მოციქულმა (ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «დაე, ხახვის, ნივრის ან პრასის მჭამელი არავითარ შემთხვევაში არ მიუახლოვდეს ჩვენს მეჩეთს, რადგან ჭეშმარიტად, ანგელოზებს იგივე აწუხებთ, რაც ადამის შვილებს!»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუკრძალა იმ ადამიანს, ვინც ნიორი ან ხახვი შეჭამა, მოსვლა მეჩეთში, რათა სუნით არ შეეწუხებინა ძმები, რომლებიც კოლექტიურ ლოცვაზე ესწრებოდნენ. ეს აკრძალვა ეხება მეჩეთში მოსვლას, მაგრამ არ ეხება ამ პროდუქტების ჭამას ზოგადად, რადგან ისინი ნებადართულია. ერთხელ მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მიართვეს ბოსტნეულის კერძი. როცა მან იგრძნო სუნი და გაიგო, რა იყო მასში, უარი თქვა მის ჭამაზე და კერძი თავის ერთ-ერთ საჰაბას გადასცა. მანაც, მოციქულის მაგალითს მიჰყვა და არ მოისურვა ჭამა, მაგრამ მოციქულმა უთხრა: "შენ ჭამე, რადგან მე ვიღებ გამოცხადებას ანგელოზებისგან". მოციქულმა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას), გვამცნო, რომ ანგელოზებს აწუხებთ უსიამოვნო სუნი, ისევე, როგორც ადამიანებს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4850